კვირა, 25 სექტემბერი 1916 წ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 39

ცხრა თვალი

სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველი (პოლიციელს) ცხრა თვალი უნდა გამოვიბათ და ვეცადოთ ვერსად მიმალონ სპეკულიანტებმა სურსათ-სანოვაგე.

პოლიციელი. დიახაც, დიახაც.

ქუთათურის დღიური

(მომავალი წლისათვის.)

7 აპრილი.

მშვენიერი ამინდი დგას. ბუნება გამოცოცხლდა. მერცხლები მოფრინდენ. მინდორ-ველი მწვანით შეიმოსა. დილის 9 საათზე გაიტაცეს პირველი კლასის გიმნაზისტი ტიტო ფლავაძე, აფთიაქის პატრონის გიორგი ფლავაძის ვაჟი. საზოგადოება ძლიერ აღელვებულია ამ თავხედთა მოქმედობით. გაზეთებში ცხარე წერილები იბეჭდება. პოლიციამ ენერგიულ ზომებს მიმართა.

9 აპრილი.

გიორგი ფლავაძეს ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა მტაცებელთა წარმომადგენლებთან, რის შემდეგ პატარა გიმნაზისტი განთავისუფლებულ იქმნა.

გუშინ გაიტაცეს ვაჭარი გაბუნია და ზუმბაძე. ქალაქი შეძრწუნებულია. ექიმ ხეჩუაშვილს წერილი მისვლია. პოლიცია დიდს სამზადისშია. უკვე დაათვალიერეს „თეთრსა“ და „წითელ“ ხიდს ქვეშ საეჭვო ადგილები

17 აპრილი.

სამ უკანასკნელ დღეში გაიტაცეს: კლასიკური გიმნაზიის დირექტორი, ვაჭარი გრიგოლ ლაღიძე, თეატრის კასირშა ქ-ნი კიტა*) აბაშიძე, 7 გიმნაზისტკა, 29 გიმნაზისტი და ინჟენერი ლევან ბარბაქაძე. ხალხი ძლიერ დაშინებულია, ვაჭრები ქალაქიდან იხიზნებიან. წარმოება ცოტა არ იყოს შეფერხდა და ქალაქში სანოვაგეთა ნაკლებობამ თავი იჩინა.

5 მაისი.

დღემდე არ დაუბრუნებიათ და მტაცებელთა საფარში იმყოფებიან. ვექილები: დავით ბარნაბაშვილი, კალისტრატე ჩიკვაიძე, ვიქტორ ბუაჩიძე, კლემენტი ბრეგვაძე, იასონ ლორთქიფანიძე და ნოე სიქაძე; ვაჭრები: ვარლამ ჭილაძე, მოსეშვილი, კაკიტელაშვილი, ლომინაძე, ოგანოვი, გვარამია, ჯანელიძე, ქინქლაძე და ხუნგია.

გუშინ წაიყვანეს საზნაურო ბანკის გამგე კომიტეტის სხდომა in corpore, სასამართლოს თავმჯდომარე, მიწად მოქმედების გამგე, ადგილობრივი ტყის მცველი, „მეგობრის“ რედაქცია; საზოგადო მოღვაწე პეტრე ყიფიანი და გრიგოლ გველესიანი. კიტა მბაშიძემ გაასწრო. სულ ერთია, წერილი მისვლია: —უმჯობესია თითონ მოხვიდე შენის ფეხით, ჩვენი გზის ფული გადასახადათ არ დაგაწვებაო. ამბობენ: კიტამ გადაიკითხა „დიმიტრი თავდადებული“ და წასვლა გადასწყვიტაო.

11 მაისი.

გუშინდელმა ამბავმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

საღამოთი, ამავე დღეს, მოიტაცეს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება პატივცემული მარშლის დავით ოტას-ძე ნაჟარაძის თავმჯდომარეობით.

დაბეჯითებით ამბობენ: მტაცებლები ქალაქის ბულვარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნჭულში იმალებიანო. პოლიციამ გააასკეცა თავისი ენერგია. განსაკუთრებულად ამ უბნის სადარაჯოთ მიჩენილია ერთი გოროდოვიო.

სასწავლებლები, რომელთაც „მოტაცების“ სენი არ მოუხდიათ უკვე დაიხიზნენ ახლო მახლო დაბა—სოფლებში. ქალაქი სრულიად დაიცალა.

14 ივნისი.

დღეს გაიტაცეს უკანასკნელი მოქალაქენი, სახელდობრ ქალაქის საბჭოს სხდომა. კრებას არც ერთი ხმოსანი არა ჰკლებია. ქალაქის მოურავმა გაქცევა განიზრახა, მაგრამ დაიჭირეს. ამან აავსო პოლიციის მოთმინების ფიალა და ყველა გამვლელ გამომვლელ სოფლელს ჯიბეებს უსინჯავენ. ჯერ-ჯერობით მტაცებელთა კვალს ვერ მიაგნეს.

*) ალბათ სახელი შეცდომითაა ნაჩვენები.

13 ივლისი.

აგერ თითქმის თვე სრულდება, რაც ქალაქში მხოლოდ პოლიცია დარჩა. ამ ხანის განმავლობაში ერთი მტაცებლობაც არ მომხდარა. ახლო-მახლო სოფლებში დახიზნულნი განცვიფრებულნი არიან. ზოგიერთები ისე გათამადენ, რომ ქალაქში დაბრუნებასაც აპირობენ.

— ვნახოთ.

— ვნახოთ.

ეშმაკი



უსტარი ეშმაკს.

სოფელი ვნახე უკაცოთ,
მარტო ქალების ამარა,
დატრიალობდენ ოჯახში—
ქეთო, თებრონე, თამარა.
იმათმა შრომა გარჯა
მე გული გამიხალისა
და ვსთქვი:—დაილოცოს, ეშმაკმა
საქმიანობა ქალისა!

—

მაგრამ სხვა ქალი რომ ვნახე
გამოწყობილი მოდაზე,
საქმეზე ხელს არ დასძრავდა,
დაპაკუნობდა ოდაზე!
მე მისი ცქერაც შემძაგდა,
ჩამოვაშორე თვალები
და ვსთქვი:—დასწყევლოს ეშმაკმა
ყველა ასეთი ქალები!

გურიანთელი.

პ უ რ ი

თეატრი რომ ძალიან მიყვარს, თქვენც კარგათ იცით. ყოველთვის შენიშნავთ ჩემს პატიოსნებას პარტერის უკანასკნელ რიგში ჩამოსკუპებულს. ძალაზე მიყვარს თეატრი და ბევრი სარგებლობაც მოუტანია მას ჩემთვის. აბა სად, თუ არ იქ, შეხვდა ჩემი მეუღლე ნეტარ-ხსენებულ ივანე ჩერჩეტიშვილს, შეიყვარა იგი და მე თავიდან მომშორდა. თეატრისავე შემწეობით ერთი საფეხურით მაღლა დავდექი სამსახურში: უფროსის ცოლს გული შეუწუხდა დრამის მძიმე ადგილზე, მე მას დავეხმარე, გავიცან და... და... სამსახურში წინ წავიწიე. ვინ მოსთვლის რამდენი რამისათვის უნდა ვიყო მადლობელი თეატრისა.., ოჰ! ძლიერ მიყვარს თეატრი!.. აი, თუნდ გუშინ, როდესაც პურის უქონლობით ჰარაქათი გამომელია და „ოჩერედში“ დგომით ფეხები დამწყდა, არ ვუმტყუნე მე თეატრს. გუშინაც ავიღე ბილეთი და შეველ.

მუცელ-ცარიელი დავსეირნობ თეატრის დარბაზში... ათი წუწუთის შედგომ მე გამოვძეხ, მხოლოდ „ბუფეტის“ პატრონმა ნება არ მომცა ჩემი დედისა და დებისათვის წამეღო სახლში საჭმელი!.. ბევრი ვეხვეწე, ვეჩხუბე!.. ამაოდ!..

ზარიც დარეკეს და შეველით. ჩაქრა სინათლე, აიხადა ფარდა... პირველ ყოვლისა, რასაც მოვკარ თვალი სცენაზე, იყო გაშლილი სუფრა და სუფრის შუა ათ გირვანქამდე თეთრი პური!..

თეთრი, ღრუბელივით რბილი პური,..
ნეტავ რა თვალთმაქცობით იშოვეს იგი!

ყურადღებას აღარ ვაქცევდი მსახიობთა თამაშს... ჩემს თვალ-წინ იდგა პური. თანაც მაგონდებოდა დედა, დები, რომელნიც მოუთმენლად ელოდებიან ჩემს მისვლას სახლში, რასაკვირველია, პურით ხელში...

ღმერთო ჩემო! პურს სჭრიან, სჭამენ!.. სისხლი თავში ამივარდა... წამოვარდი ზეზე... ჩემ წინ მჯდომ ფაფრიან რეცენზენტს გალსტუხი ჩამოვაგლიჯე სიჩქარეში, პირველ რიგში ვიღაცას მუხლებზე დავახტი... გასაოცარი სიმამაცით გადავეცლე „ორკე-

სტრს“ და სცენაზე გავჩნდი. არ მესმოდა ხალხის ჩოჩქოლი, მე მხოლოდ პურისაკენ მქონდა მიპყრობილი თვალები. ჰა, მივაღწიე... ვსტაცე ხელი პურს... აქტიორები ჩამებღაუჭენ... დავაღწიე თავი მათ, მხოლოდ ერთი მათგანის თეთრი წვერ-ულუაში შემრჩა... ხელში კულისებში კეტებით შემხვდენ... გავცოფდი, ლომის სიმძლავრე და სიმამაცე მომეცა... შევარდი ერთ საპირფარეშოში, ფანჯარა გავამტვრიე და გადავხტი თეატრის ბაღში. ბაღიდან ქუჩაში გამოსვლა და სახლისაკენ გამგზავრება სრულიად ადვილი იყო... ღამე სახლში დიდი მხიარულობა გვქონდა,. რადგან რიგიანათ ვივახშმეთ.

ყველაფერს დავთმობ თეატრისათვის, მაგრამ პურს...

გუგული.

ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲐ

—

რაკი ვსთქვი, მინდა დავიცო
ჩემი სიტყვა და პირობა,
თუმც ასრულება ამისი,
არც თუა დიდი გმირობა.
ან კი რა დიდი საქმეა
რითმების მობმა რითმებზე?
დღეს ჩვენში მერითმეებსა
ვერც კი ჩამოთვლით თითებზე.
და რა იქნება მეც ერთი
შარადა მოვაჯახირო?
ხომ უწყო, კუმ ფეხი გამოყო
და სთქვა: „მეც ნახირ ნახირო“.

—

პირველი სიტყვა, რომელიც
დღეს შარადისთვის გვჭირია,
უცხო სიტყვაა, მაგრამ მის
ხსენება ჩვენშიც ხშირია.
ცხოვრების ალვირ-სადავე
დღეს ხელში იმას უჭირავს
და ისე წირავს ისიცა,
როგორც მის მამას უწირავს.
პატიოსნება, სინდისი
ოქროსთვის შეუწირია.
ხალხის ჭირი და ვარამი
იმისთვის „ღობეს ჩხირია“.
მისი სამეფო უბანი
თფილისში სოლოლაკია:
პირველობს, უკანასკნელი,
ჯიბე მაგარი რაკია.
ამ სიტყვის მხოლოდ პირველი
ასო გვინდა და გვჭირდება,
სხვა გავატანოთ ალაზანს,
როდესაც წამოდიდდება.
მტკვარს ნუ შევურევთ, რომ უცბათ
არ განჩდეს მასში ხოლერა
და არ გვამღეროს თავცემით
„ვაი-ვუი“ და „ორერა“.

შემდეგ ვეწვიოთ სოფელსა,
ვიხილოთ მისი მშვენება;
ის რომ ბუნებით ლაღია —
ეგ ვის არ მოეხსენება?
ხან ალმა ავყვეთ, ხან დალმა,
ათასფრად აფერადებულს
და გლეხს მივადგეთ ჭიშკარზე,
შრომაში გაფოლადებულს.
და, რასაც ვეძებთ, რაც გვინდა,
იქ ვნახავთ უეჭველადა:
უმისოდ გლეხი არ ვარგა,
ის დაჰყავს ტყედ, თუ ველადა.
როს შემოდგომა დადგება,
ჩამოყვითლდება ყანები, —
გლეხსაც იმისკენ უჭირავს
გაბრწყინვებული თვალები,
დილით ადრიან ადგება,
ყანისკენ გააჭრიალებს,
თვით კოფოს წამოუჯდება,
„ჰორველას“ ჩააკრიალებს.
ახლა მგონია თქვენც მიხვდით,
არ უნდა ამას ჩიჩინი.
რომ ესეც შუა გავკვეთოთ
და შევაერთოთ ისინი.
უკანასკნელი ასო კვლავ
გვექნება საძებნელათა

და ჩვენც ხვედრს დავეშორჩილოთ,
გავიჭრეთ მინდორ ველათა.

ჰა, აგერ, კორდზე, ბუჩქის ძირს,
გამონასკულა ლურჯიცა,
ლეიბათ მიწა უგია,
საბნათ ახურავს ლურჯი ცა.
ცისფერ თვალებზე ცვარებათ
მოსხმია ნამი ღილისა
და ისე შვენის, ვით ლაშაზს
საკინძე ალმასთ ღილისა.
ხელშეუხებლათ ეს სიტყვაც
სხვებს რომ მოვაბათ კუდათა,
შარადა—სრული იქნება
და დაწერილი—ცუდათა,
მაგრამ თუ დაუკვირდებით,
მგონია, ახსნით ადვილათ
სახტათ დარჩებით, იწუხებთ,
რომ არ გექნებათ საღილათ.

ჩახრუხაძე.



თფილისის ჯიგგირეგი.

ძველად თფილისში ჯიბგირობა ხვდებოდა რჩეულს
და ამ ხელობას სახიფათოს მარად ჟამს წყეულს,
კინტოსა გარდა გაურბოდა ყოველი არსი
რადგან ის იყო ამ საქმეში ყველაზე თარსი.
მარა მიბრძანდით, ეხლა ნახეთ სადგურსა შინა,
რამდენ ჯიბგირებს მოუნახავთ აქ თვისი ბინა!..
ისე გართულდა საქმე იმით გამოწვეული,
ისე გამრავლდა ხალხი ამით გამოჩვეული,
რომ არავის სურს ჯიბე მკერავს დააკერვინოს,
რადგან ვის უნდა შემდეგ ჯიბგირს დააჭრევინოს.
ახლა ხელობათ შემოვიდა სულ ჯიბგირობა
და ვისაც უნდა გამოჩენა თვისი ბიჭობა,
სადგურის ქუჩას მიაშურებს, იქა დაიცდის,
სად ხალხი მოვა, უნებლიეთ ჯიბას დაიცლის
და ამა თანხით ვის არ ძალუძს შემდეგ ვაჭრობა:
სპირტსა შეიძენს, ხალხს წაუღებს რუსეთში მწყურვალს,
რაც დაამებს მრავალ ოჯახს სიფხიზლეს მძულვარს,
ხოლო თვით გროშებს ერთი ათად მიიღებს ჯილდოთ
და გამოფიტულ თვისსა ჯიბეს, ჯიბეს ცარიელს,
ასე ამ რიგათ გამოჭედავს ოქროთი მჭიდრონ.
მარა ხომ იცით ეხლა დროა დაუნდობელი,
კონკურენცია მეფობს ყველგან დაუდგრომელი
და რა გაკვირდეთ, თუ თფილისის ძველსა ჯიბგირებს,
თავის საქმეში გამოცდილებს, ძლიერს და გმირებს,
მეტოქეობა გაუმართა სოფლელმა ხალხმა
და ამის გამო მყის გაიგო „ჯიბგირთა დახლმა“.
პირველი არის ამ საქმეში „ქოცო არტისტი“
ხონში ნაქები ერთი საქმით, დიდი ყანწისტი,
ვინც თვის სიცოცხლით ასეთ საქმეს შეეწირება,
დღითი ისვენებს, მას ხომ ღამით არ ეძინება,
რომელს ყმაწვილთა მთელი რაზმი შეუდგენია
კაპიტალიზმის ხანა არის მართლა წყეული,
ვინ იფიქრებდა თფილისელი კინტო ჩვეული
მარტოობასა ჯიბის ჭრის და ასეთ საქმეში,
დღეს გაებმოდა ხონელ ქოცოს მარჯვე მახეში.

ხუნაგი.

სახუმარო რვეულიდან

2

სადალაქო ქუჩაში

ისეთი ორშაბათი გათენდა, რომ თვალთაგან ცინცხალს ყრიდა: გადასარკული ცის კაბადონი, კურდღელივით ყურებ აცქვეტილი გადაცვარული ბალახეულობა, მოპიკპიკე მერცხლები, ბულბულების ნაცვლათ აპურღულებული სხვა და სხვა ჯურის ჩიტები, ლოყებ ავარდისფერებული აღმოსავლეთი... ყველგან სიცოცხლე, სიახლე, გაპაყმაწვი-

ლებელი ძალის ფეთქა და სიხარული, სიხარული იმ ცქრიალა ქალწულისა, რომელმაც აი ამ წუთს სატრფო იხილა და ყოველ წამს მზათ არის გადაჰ-კისკისოს მთელ ქვეყანას, მაგრამ თავს იკავებს, კდეგამოსილებით იმოსება.

სიმოსავით მთელ სოფელში არავის არ უგრძვნია ამ დილის მშვენიერება; არც ერთის გლეხის არსებაში არ ჩაკვერილა ძალის ამაფეთქებელი და სამუშაოთ გამწევი ცეცხლი ასეთის ძალით.

— ღმერთო, ვმადლობ შენს წყალობას, რო ასეთი ორშაბათი გამითენეო,—წაიჩურჩულა მან პირჯვარის ჩამოსახვით და ხელათ მონახა გამარმალებული თოხი.

— ქალო, ამ დილას დაუხემსებლათ მივალ და სადილი დროზე გამომიგზანე,—მიაძახა მან ცოლს, რომელიც ქმარზე ადრე ამდგარიყო და საოჯახო თადარიგს ეწეოდა.

რამდენიმე წამის შემდეგ სიმო, მხარზე თოხ გადებული, ახალოხ სამარა გამალებული მიეშურებოდა ყანისკენ, სული მიუვიდოდა, სანამდის თოხნას შეუდგებოდა. თანაც გულში სწყინდა, რომ უფრო ადრე ვერ ადგა.

— სიმოს გაუმარჯოს, სიმოს! მოაძახა ვილაცამ მოსახვევთან.

— აა, მარკოზას გაუმარჯოს უთხრა სიმომ ღიმილით,—სად იყავი გუშინ შე ძაღლების შესაჭმელო, მთელი დღე გეძებე!

მარკოზა გუშინ მთელი დღე სოფლის ზედა ნაწილში პარსავდა ხალხს და ღამეც იქ დარჩა, ამ დილა ადრიანათ კი შინ ბრუნდებოდა. ილიაში რაღაც ყუთ ამოდებული მარკოზა სიცილით მიუახლოვდა სიმოს და ხელი გაუწია.

— თუ ძმა ხარ წინ არ შემხვდე,—მიაძახა ღიმილით სიმომ,—უკულმართი ფეხის კაცი ხარ, თუ ამ ორშაბათ დილას დამნამსე, ამ კვირეში ვერ გავიხარებ.

— წადე, წადე, შვილოსან! აკვირიკავებით უთხრა მარკოზამ და ხელი მაინც ჩამოართვა.— რავა, თავის მოპარსა გინდოდა არა? შეეკითხა იგი.

— მინდოდა და მეტი არა! ბალანმა შემჭამა კაცი, გაბუძგული ვარ ძღარბივით.

— დაჯე რაღა, გაგსურსნო ხელათ.

— აგიშენდა ოქოქი ორშაბათ დილას მე შენ მაგისთვის გაგაცდენინო თავი! დაიკარგე შე მატყუარა, შენა! აკი გუშინ იყავი შეპირებას, გამაცრუებელო შენ! ამ სიტყვებით სიმომ ფიცხლავ იბრუნა პირი ყანისკენ და მარკოზა შუა ქუჩაში მიატოვა.

— კაცო, სიმო ხარ შენ,—მიაძახა რამდენჯერმე მარკოზამ, მაგრამ ამაოთ,— მეიხედე ერთი, კაცო გითხრა რაში იყო საქმე!

მარკოზამ რაკი დაინახა, რომ სიმო არ ჩერდებოდა, უკან გაკიდებაც იკადრა და მანამ არ მოეშვა, სანამ არ შეაჩერა.

— რა გინდა, ძმაო, შემოჩენილი ხომ არ ხარ ამ ორშაბათ დილას! კაცი სამარგელ ყანაში მივრბივარ და შენ დაგაწყებინებ აქ თავის ჯიჯგნას! შემოუწყრა სიმო.

— რა გინდა ძმაო, ხუთ ნიმუტში გაგათავისუფლებ, ღმერთს გეფიცები, სიფთაზე შემხვდი ამ დილას და არ მინდა გაგიშვა; ისე გაგკვარჭნო, ისე რომ... თვარა მერე კვირამდი ვერ შეგხვდები და ვარესია, ბალანი შეგჭამს ამ სიცხეებში. ღმერთს გეფიცები, რო სიფთა არ იყოს...

ამ სიტყვებით მარკოზამ უკვე გაშალა თავის ბარგი-ბარხანა ყორეზე და თასმებიც შეირტყა წელზე.

ცოტა არ იყოს სიმოსაც გაულბა გული— იფიქრა, რაკი სიფთაა, იაფად მომპარსავს თავს, რაც უნდა მივსცე დამჯერდებაო, მაგრამ ოსტატური მოლაპარაკება მაინც საჭიროაო სთქვა და შესაფერი თადარიგიც დაიჭირა.

— მეიცა, ძმაო, მაგას ნუ ალაგებ, თვარა ტყვილა ჩაგივლის, მამაჩემსა აქ ცხონება,—ღიმილით უთხრა მარკოზას.

— მოიცა, შენ! ჯერ ერთი შენი დასაჯდომი ქვა მოვნახო,—ეუბნებოდა მარკოზა და თან ყორეს აკვირდებოდა, - აბა რომელი ქვა გამოვიღო სიმოსთვისო. ორიოდე წუთის შემდეგ ლოყების გამობერით და თან ,,ფჰ, ფჰ, ფჰ...''-ს ძახილით კარგა მოზრდილი ლოდი მოათრია გულზე ახუტებით.

— აბა, აბა დაუჯექი, ბევრს ნუ ლაპარაკობ! მიმართა სიმოს და ახალოხზედაც კი წაატანა ხელი.

— შენ, ჰეი! სიცხე ხომ არ გაქ შენ ამ დილას, ა? დავჯდე რავა, ასე ალა-ალაა ამ დილას

დაჯდომა? ფასში არ მირიგდები, რაფერ უნდა მომპარცო არ ვიცი!

— შენზე ვსტავლობ, ყურუმსაღო, თავის ფარცას თუ?.. მართლა კი ნუ დეიწყებ იმას!..

— მე, ძმაო, თავი დანით უნდა მოვიპარცო, მაგრატლით არ მინდა.

— ბიჭოს, რისი მაგრატელია! მარშინა მაქ იმისთანა, რომე ხელათ გაგიტურტნი თავს. სამართობლით თუ გინდა, არც ისაა დიდი მალიათი ბრასივით დანა მაქ, აი შეხედე! ბალანი იჭრება ზედ, ბალანი...

მარკოზამ წამში გამოაწყო და აჩვენა სიმოს თავის იარაღები.

— წყალი რო არ გაქ, — შენიშნა სიმომ.

— აგერ არ დგას თხრილში! მშვენიერი კაი წყალია, გუშინ დილის ნაწვიმარია!.. დაჯექი შენ დაჯექი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, სადაა ჩემი ტაშტი და საპონი, გავქაფო ერთი.

დიდ უარზე იყო სიმო — ორშაბათ დილას წუმპე წყალი რავა დავისხა თავზეო, მაგრამ მარკოზას საბუთებმა გასჭრეს და როგორც იქნა დათანხმდა. მაგრამ ახლა მეორე კითხვა აღიმართა მის წინაშე, კითხვა ერთობ სერიოზული და ძნელათ გადასაწყვეტი.

— არა, ყველაფერი კაი, მარა გარიგება არ უნდა! არ უნდა ვიცოდე რას მახთევინებ? ეს კითხვა მაშინ მისცა სიმომ, როცა გახარებულ მარკოზას ქვაზე უნდა დაესვა იგი და გამწვანებულ სპილენძის სადალაქო ტასტში გაქაფული საპონით უნდა დაეფარა მისი თავი.

— დაჯექი, ძმაო, დაჯექი, შუადღე გახდა, კაცო ბევრს ნუ ლაპარაკობ!

სიმო ახლა სულ მოშორდა ლოდს და გადაჭრით განაცხადა, რომ თუ არ გამირიგდები, ისე მე ჩემს გზას ვეწევიო. მარკოზას მეტი რა გზა ჰქონდა — უნდა გარიგებოდა.

— ოხ, რა ჯანჯალი კაცი ხარ, სიმო, რა ჯანჯალი! თქვი აბა რას მაძლევ.

— ჯერ შენ თქვი, ხელობა შენია.

— არა, შენ თქვი...

— შენ თქვი...

— კაცო, ეს რა ძველებული სალამი გადამეყარა ამ დილას... ა, ძმაო, კარგი მე ვიტყვი უწინ, — დათანხმდა მარკოზა, — შაური მომეცი.

— სწორეთ, მაგ ჭკუაზეა ამ დილით სიმო! შენ შეხვედრას ამ დილას წელკავს შევხვედროდი კი მერჩია, არ მინდა ძმაო, არაფერი, ღმერთმა შვიდობა მოგცეს, — ამ სიტყვებით სიმომ თოხი მხარზე გაიდო და გზას გაუდგა. მარკოზას პირს კატა ეცა — დავიღუპე კაცი, ამდენმა ცდამ ტყვილათ ჩამიარაო.

— კაცო, ეი, სიმო ხარ შენ! გეყურება თუ არა? არ მეიხედავ, კაცო!

— ერთი ორ კაპეიკიანი მაქ, ძმაო, თუ გინდა მოგცემ და მომპარსე, თვარა და მომშორდი აქედან, — მოაძახა სიმომ უკან დადევნებულ მარკოზას.

— მოდი, მობრუნდი, მობრუნდი.

სიმო მობრუნდა, მაგრამ არც ისე კმაყოფილი იყო და ყოველ სიტყვის მობრუნებაზე ოჯახს უქცევდა მარკოზას ამ დილაზე შეხვედრისთვის.

— აბა, მალე, არ გამაჩერო, თვარა ვაი შენს სიცოცხლეს მარკოზა მაშინ, — ეუბნებოდა სიმო და ლოდს დასაჯდომათ აწყობდა. თანაც ადამ და ევის დროიდან გაურეცხელ ფეშტამალს უკეთებდა კისერზე მარკოზა. ერთი წამის განმავლობაში მისი თავი ერთიანათ გაქაფული იყო და მარკოზაც ციბრუტივით ტრიალებდა: ხან წუმპიან თხრილს მიახტებოდა, ხან ყორესთან მიირბენდა იარაღებისთვის და ხან კიდევ სიმოს საჯდომ ლოდს პატარა ქვებს უყენებდა, რომ ყანყალი შეეჩერებია. ბოლოს დანამდისაც მივიდა ჯერი, და „იჰ, იჰ, იჰ“-ს ძახილით თასმაზე გაკვრის შემდეგ ფრთხილათ დაუსვა სიმოს თავზე.

— ეუპი! სამართებლის მიკარებისთანავე წამოიყვირა სიმომ, — შე ოჯახ დასაქცევო ესაა შენი გალესილი დანა?

— მოიცა, მოიცა, გააჩერე თავი, შეეჩვევი!

ასე დააიმედა მარკოზამ, მაგრამ შეჩვევამდი ჯერ კიდევ შორს იყო და სიმო სულ კბილებს აკრაჭუნებდა. მარკოზამ კარგათ იცოდა თავის დანის სიკეთე და ამჯობინა ლაპარაკით გაერთო სიმო — ტკივილს დაივიწყებსო. ნანახი, გაგონილი, ტყვილი, მართალი ყველაფერი მოუყვა, მაგრამ სიმოს წმუკუნი მაინც შორს გაისმოდა.

— შე ოჯახ ამოფუტრულო, შე კერია დასაფსებო, თუ დანა არ გივარგოდა რაზე დამაკინე კაცი, — ბურდღულებდა სიმო და ხან აქეთ იღრეც-

გუსარი სიკვდილისა



თავგანწირული გერმანელი ჯარისკაცები თანხმდებიან, რომ მიჯაჭვულ იქმნან ზარბაზნებზე, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდი იბრძოლონ.

გუსარი სითბილისა.

ჩვენი „საზოგადო მოღვაწეებიც“ სიკვდილამდე ეჯაჭვებიან რკინის კასებს, რომ . . .

და ხან იქით. მარკოზას კი შეუბრალათ გაქონდა მის თავზე ფხიკი-ფხიკინი და ყოველი ბალანის ძირის მოჭრას აგებინებდა სიმოს. ამავე დროს ბევრ ადგილას სისხლიც გამოადინა, მაგრამ ხელათ შეაჩერა: სიმოს შეუმჩნევლათ ყორეს წაეპოტინა, ფხვნილი მიწა გამოიღო და ამოცვარულ სისხლს დააყარა.

— არა, სიმო, მართლა ორი კაპეიკით გინდა გამისთუმრო, ამ დილას?—შეეკითხი იგი, როცა მესამედი თავი როგორც იქნა გადაფხეკა და დარწმუნდა თანაც—აწი ვერ გამექცევაო.

— რავა პირს მიტეხ თუ? ერთი შეუყვირა სიმომ და წამოიჭრა. ატყდა აყალ-მაყალი: მარკოზა შაურს თხოულობს, სიმო ორ კაპეიკს ფეხს არ აცვლის. აგინეს, ანთხიეს ერთმანეთი და ბოლოს როგორც იქნა სამ კაპეიკზე შეთანხმდენ, მაგრამ სანამ მთიდან გადმომყურალე ეკლესიაზე არ შეფიცეს ერთმანეთს, ისე როდი განაგრძეს საქმე.

— გაუწყრა იმ წმინდა გიორგის მადლი, ვინც პირი გატეხოსო, დაიფიცა მარკოზამ და სიმომაც „ამინი“ უთხრა.

— აჰა, შეხვდით ერთმანეთს ატყულია და მატყულია! მოალაპარაკა ეფრემამ, რომელსაც უკან ტომრებ გადაკიდებული შავი ცხენი მოყვებოდა.

— უჰ, ეფრემა და მისი ნახშირაც აგერ არ მოსულან... ხა... ხა... ხა.. გადაიხარხარა მარკოზამ,—სად მიათრევ ამ კვტარს, რას აწვალებ ამ ჯახრიკას შე სულ კატიანო, შენ, ა? საფლავში გინდა ჩაყვე?

გაძვალ-ტყავებულ ნახშირაზე ტომრით ეფრემას საფქვავი ეკიდა და წისქვილში მიქონდა; უბედურ ცხენს ტვირთის გავლენით წელი ერთიანათ ჩაზნექოდა და უკანა ფეხებიც გაფაჩქული მიქონდა. თანაც ზებერ ძვლებს სულკრიჭინ-კრიჭინი გაჰქონდათ, ხოლო უნალო და ჩლიქებ დაზდილი ფეხები ნიჩბებივით ედგვეფებოდენ მიწაზე. კუდიც ერთობ გასაჯაყებულ მდგომარეობაში ჰქონდა ნახშირას: სულ გაეცალათ ბავშებს მახეებისთვის და ახლა გახიკნილ რიკსლა აქანებდა ჩვენი ბედაური ძველი ცოცხივით. გახროკილი გვერდების ქვედა ნაწილები და საზოგადოთ კუდის ძირის რაიონი „ძაღლის მწერთა“ ბუდეთ გადაქცეულიყო.

— გამარჯობა, ცრუებო, გამარჯობა,—ღიმილით სთქვა ეფრემამ,—ბიჭო, შე შტერო, ამას აჯიჯგნიებ თავს? ა? შეხედე რა უქნია, სულ დოუჩეხიხარ, შე უბედურო, და მერე მიწა დაუგოზია ზედ.

— ეგება მართლა,—გაიკვირვა სიმომ და უნდოდა თავისკენ წაეღო ხელი, მაგრამ მარკოზამ არ დაანება—დანას წაკრავო.

— შორს გადაათრიე, შორს ეს შენი ბედაური, ახლო არ მოკვდეს,—ამ სიტყვებით მარკოზამ ეფრემას ხელი უბიძგა და თავიდან მოიშორა. ისიც გზას გაუდგა.

— სიმოს თავზე კი ისევ ფხიკი-ფხიკინი გაქონდა დაყრუებულ-დაჩლანგებულ დანას. სიმოს სახის ღმეჭა და წუხილი პირდაპირ გულის მომკვლელი იყო.

— რას გადავეკიდე ამ ორშაბათს ამას!.. რა შავი ორშაბათი გამითენდა, რა უკუღმართ საათზე გადმოვედი, შვა დღე გახდა აგერ, ნახევარ ყანას გავთოხნიდი,—ბუზღუნებდა სიმო, რომელსაც ამათ აიმედებდა მარკოზა.

ამასობაში უცებ მარკოზამ ხელი გადაიქნია, სიმომ თვალი შეასწრო სისხლიან თითს და თავზე ხელის ტაცებით მიაყვირა.

— გამაფუჭე შე ოჯახ ამოსაგდებო, სისხლი გადამაფინე თავზე? და თავის გასისხლებულ ხელს დაუწყო ცქერა.

— არაფერია, არაფერი! დაჯექი, კაცო, ხელათ შევაჩერებ,—ამ სიტყვებით მარკოზამ მიწა აიღო და სიმოს თავზე უნდოდა დაედო.

— შე ოჯახ დასაქცევო მაგის ჭრილობაზე დადება ვის მოსწრებია,—მიაყვირა სიმომ,—ეგება სადმე ცხენის იგია და ის დამადევი, იშოვე მალე, თვარა შამომაკვდები ამ ორშაბათს, იცოდე!

— ოჰ, ცხენის იმას სად ვიშოვნი ახლა, არაფერი უშავს ამას, მე სულ მიწას ვაყრი.

— ე, კაცო, იმ მოსახვევთან იმ პატრონ მოსაკვლავმა ნახშირამ კუდი აწია ზევით, და რაცხას იზამდა ის სამგლე, გეიქეცი მოიტანე ერთი.

მეტი გზა არ იყო—მარკოზა უნდა გაქცეულიყო იმ ადგილისკენ, სადაც ნახშირამ კუდი ასწია და ,,ალბათ რაღაცას იზამდა‘‘. ორიოდე წუთის შემდეგ მარკოზას ორივე ხელები გაევსო ცხენის ,,იმით‘‘ და მოურბენინა სიმოს, რომელმაც

წყევლა-კრულვით წაუშვირა თავი ამ ორიგინალური საშვალების ჭრილობაზე დასადებათ. მარკოზამაც ხელათ დაადო თავზე, სადაც ჯერ იყო, ცხენის „იგი“ და ხელების ერთი მეორეზე შემოკვრით და ფერთხის შემდეგ, თავისი საქმე განაგრძო.

რადგან სამართებელი კიდევ უარესად განაგრძობდა თავის გამაწვალებელ დანიშნულებას, სიმომ დანარჩენი თავის გაპარსვა ისევ მაშინით არჩია—არ დეევეძებ სირცხვილს, ოღონდ ამ წვალებას გადავრჩეო, მაგრამ მარკოზამ ეს ხელობის შეურაცყოფათ მიიღო და სთხოვა კიდევ მოეთმინა ცოტა: სამაგიეროთ სიმომ სარკე მოთხოვა მას. მარკოზასთვის ეს არც ისე სასიამოვნო იყო,—ახლობამდი განგებ უმალავდა, მაგრამ ახლა მეტი გზა არ იყო—უნდა მიეცა. უცებ ამოიღო ჩამტვერულ ყუთიდან ათნაირათ გაბზარული სარკე და ჩოხის კალთით გაწმენდის შემდეგ ზე ცხვირზე მიადო სიმოს, რომელმაც ბევრი იცქირა შიგ, მაგრამ მიზანს ოდნავადაც ვერ მიაღწია—არ იქნა და ვერ დაინახა ერთად მოპარსული თავი, მხოლოთ პატარ-პატარა ნაჭრებს თუ მოკრავდა თვალს, მთელათ დარჩენილ სარკის ნაჭრებში. ბოლოს, როცა ვერას გახდა, სარკე მიწაზე გააგდო და ერთი გემოზე შეუკურთხა მარკოზას.

ამასობაში მზეც კარგა წამოიწია, აგერ ის დრო ხდება, რომ ცვარიც კი მოშრა. ამას კარგად ხედავს სიმო და გული უკვდება: იწყევლის თავს, მარკოზას, რო ასე შეაცდინა; მაგრამ ახლა გვიანაა, ისევ სამართებლის ფხეკას უნდა გაუძლოს და „ცხენის იგის“ სურნელებაც გადაიტანოს.

ბოლოს, როგორც იქნა მარკოზამაც დაასრულა თავისი ხელობა—გაპარსა სიმო, მაგრამ ვაი ასეთ გაპარსვას: ჯერ ერთი რომ კაცი მარტის ცხვარივით გაღეჭა, მერე ოცდაათამდე ჭრილობა მისცა და რაც ყველაზე უარესი იყო, ყველა თითქმის ჭრილობაზე ცხენის „იგი“ დააწება, რის გამო სიმო ხშირათ ხდებოდა იძულებული, რომ ცხვირის ნესტებზე შესაფერი საცო დაედო.

— ა, ძმაო, გამევიდა წირვა,—უთხრა სიხარულით მარკოზამ,—ახლა წვერებს მარშინით გამოგპარცავ და მორჩა ბერი ცხონებას,—მაგრამ არც მაშინა გამოდგა სამართებელზე უკეთესი—არც ერთი თმა არ გაუჭრია, ყველა შუაზე გადაგლიჯა. მარკოზას აქაც ბევრი გინება შეხვდა და იძულებული შეიქნა დაღანჭალებულ მაგრატელისთვის მიემართა. მაგრამ ვერც აქ წავიდა საქმე სასურველათ—მაგრატელს ჭრის მეტი ყველაფერი სცოდნოდა.

— კაცო, ხუმრობა იქით იყოს და რის მოხელე კაცი ხარ, ა! ეუბნებოდა სიმო,—დანა შენ არ გივარგა, მარგატელი არ გიჭრის, მარშინა კაპეიკათ არ ღირს, სარკე გაქ იმისთანა, რომ კაცს გადარეე... რეის მოხელე ხარ ვერ გამიგია!.. რას იტყუებ თავს?.. ყანა თოხნო არ გირჩევნია მაგის ხირტიბალს?

მარკოზა ღიმილით ისმენდა ყველაფერ ამას და ისევე უპასუხებდა:

— ხო კაცო დღეს ორშაბათია, გუშინ ბევრი ვამუშავე და... იმის ბრალია... აი აგერ დავლესო დღეს.

— მე ჩემი ქე დამმართე და აწი გინდა გალესე და გინდა თავზე გადიტეხე.

როგორც იქნა დადგა ფულის მიცემის ჟამიც.

— მეიტა აბა ორ კაპიკიანი. შაური მაქვს! უთხრა გულმოსულათ სიმომ და ჯიბეს გაიკრა ხელი.

— ორ კაპეიკიანი არც უნდა მქონდეს,—ამ სიტყვებით მარკოზამ ამოიღო რაც მოეძეოდა, მაგრამ ორკაპეკიანი მართლაც არ აღმოაჩნდა. სიმოსაც ეს უნდოდა,—ახლა კი გამოვედი ორ კაპეიკშიო იფიქრა;

— აბა სამ კაპეიკიანი მომეცი და კაპეიკი ჩემზე დარჩება.

— იცოცხლა შენმა თავმა,—შეყვირა მარკოზამ, რომელმაც მაშინვე შეატყო მოსალოდნელი საფრთხე,—მოიტა აქ მაგ შაურიანი, მოიტა, კი გიშოვი შენს ორკაპეიკს,—ამ სიტყვებით ცალი ხელი ფულისკენ გაუწოდა და ცალით ფულის ძებნა დაიწყო,—ვითომც მაქვსო. სიმოც მიხვდა რაში იყო საქმე და შესაფერი პოზიცია დაიჭირა: ფული მაგრათ დამუჭნა და უკან დაიხია.

— რო მოგცე, რაზე მოგცე, ორი კაპეიკი წეღე და კაპეიკი მემართოს, რა უპირული მნახე ისეთი, რომ ვერ გადაგიხდი?..

— შაური მოიტა და ორიც ჩემზე იყოს საღამომდი:

— მაგ ჭკუაზე ვარ ამ ორშაბათს! შენ თუ კაპეიკს არ მენდობი, მე ორი კაპეიკი გენდო? რა ბრიყვი მნახე ისეთი!—შესწყრა სიმო,—ა, ძმაო, შენი ორი კაპეიკი და მომშორდი თავიდან, მეტი არც ღირს შენი ნამუშევარი.

— ერთი უყურე ამას? გუშინ ხომ მომცემდი შაურს!

— დეიკარგე აქედან, შაურათ ბარიკმახელათ მევიბარცავ თავს!

დიდი აყალ-მაყალის შემდეგ მარკოზა იძულებული გახდა ორი კაპეიკი აეღო და კაპეიკი ნისიათ „გაეშვა“, სამაგიეროთ სიმოს გული მაინც მოუკლა:

— ძაღლი ხარ, მარა გეიღიჯგნე თუ არა ძაღლივით! მე გახლავარ მარკოზე, გარაგითხეპნე თუ არა თავი ამ დილაზე ნახშირეს იმით.

ნახშირეს „იმის“ ხსენებაზე ცოტა არ იყოს შერცხვა სიმოს, მაგრამ თავი იმით ინუგეშა, რომ ასე იაფად გაიპარსა—ორ კაპეიკში გამოვიდა, გუშინ კი შაური უნდა გადაეხადა.

მზე თითქმის წირვის დარეკის დროზე იყო შემოსული, ბევრი მუშა კიდეც გაძღა მუშაობით; ყველაფერი ეს, რასაკვირველია, არც ისე სასიამოვნო სიმოსთვის, მაგრამ აქაც იმით ინუგეშებს თავს, რომ თავის მოპარსვაში იაფად გამოვიდა და მარკოზაც ისე მოხერხებულათ გააცურა.

ვ. მალაქიაშვილი.



„მხიფავის“ რევიზია

(ბუტუნას სააგენტო)

გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს არქივიდან,

დადგენილობა.

„1909 წ. (ქრისტეს დაბადებიდან) შამოვკრბით

რამეთუ განვსაჯოთ კითხვაი, რომელი ეხების ზემოხსენებულ საბჭოს ყოფნა არ ყოფნასა, მიზეზთა გამო არსებულისა საბჭოს თამჯდომარესა შინა და განვაწესეთ ექსორია საბჭოისა ფოთისაგან ქალაქსა მას სენაკსა შინა, რამეთუ თავმჯდომარე საბჭოისა სხვა გზით ვერ განუტევა მრავალ ტანჯულმა საბჭომ, ხოლო საშვალებითა ამითა, საბჭო განეტევა თამჯდომარისაგან: დადგენილობაი ესე ასრულებულარს მას ჟამსა შინა სახელითა უფლისათა“.

საბჭოს წევრები

—

„1912 წ. (ქრის. დაბადებიდან) შეამდგომლობაი უმართებულესის მოსამართლის წინაშე საბჭოისაგან გ. ს. ს. სამოსწავლოისა ხსენებულ საბჭოის ფოთიდან სენაკს გადატანა იყო გამოწვეული მაშინდელ თავმჯდომარის მოშორების განძრახვითა, ხოლო ეხლა შეწევნითა ღვთისათა და ნებართვითა თქვენითა ვითხოვთ ისევ ფოთში გადმოტანის ნებასა“.

საბჭოს წევრები.

—

თხოვნის პასუხი საბჭოს.

„შუამდგომლობაი თქვენი არა შეწყნარებულარს, რამეთუ გადატან გადმოტანაი სამოსწავლო საბჭოისა მავნებელ არს დაწესებულებისა ამის

—

„1916 წ. კვალად ვშუამდგომლობთ

მოგვეც ჩვენ დღეს უფლება საბჭოს ფოთსაშინა გადატანისა, რამეთუ უუკეთ ვუპატრონოთ სამოსწავლოსა ეპარქიასა ჩვენსა„.

საბჭოს წევრები.

—

პასუხი თხოვნისა.

„ქრისტეს დაბადებიდან 1916 წელსა ზაფხულის ჟამსა დაკმაყოფილებულარს შუამდგომლობა გ. ს. ს. ს. საბჭოსი“.

—

ამავე ჟამსა და წელსა შევიკრიბენით ჩვენ წმინდა მამანი და მამათა მამანიც, რამეთუ ავირჩიოთ წევრები ახალი ხსენებულ საბჭოისა და ავირჩიეთ ვინც ამ დროს დაგვესწრო, მიუხედავათ შესაფერ პირებისა — წევრები, ხოლო თავმჯდომარე როგორც იყო ტრადიციულათ დეკანოზი ტაძრისა“.

—

მხიფავის რეზოლიუცია:

„რამეთუ გამოძიებით დამტკიცდა საბჭო თავიდანვე ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, რომელზედაც დამოკიდებულია მრავალთა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ბედი, იმას თავმჯდომარის შიშით თვით საბჭო გადაუსახლებია ფოთიდან, ხოლო დიდი ხნის შემდეგ და ძველი თავმჯდომარის მოშორებისათანავე ისევ დაუბრუნებიათ ფოთში. ვისგანც ჯერ იყო უნდა მოეწვია საბჭოს არჩევანზე ამ საქმისათვის შესაფერი და განსწავლული პირები, რასაც გვერდი აუარა ხსენებულმა კრებამ, რაც იქიდანაც სჩანს, რომ კრებაზე არ იყო გაწვეული ისეთი პირიც კი როგორც არის“. მამა **კელენჯერიძე**,

— რომელიც როგორც განათლებითა და თეორიული ცოდნით ისე პედაგოგიურის და პრაქტიკულის გამოცდილებით არის აღჭურვილი და ძველი ყოფილი მეთვალყურე სახალხო სკოლებისა, რომელიც აუცილებლათ ამ საბჭოს თავმჯდომარეთ უნდა არჩეულიყო და არც უბრალო წევრობაც არ ეღირსა როგორც ასეთი აქ არის ჩადენილი ცოდვა, ხოლო ცოდვა — პედაგოგიურ — მორალური, რისთვისაც ცოდვილნი ეძლევიან სამართალში 102 მუხლის ძალითა ჯოჯოხეთის წესითა“.

ფოსტა

ერთს. თქვენის პირით ჭეშმარიტება ღაღადებს, როცა სწერთ:

„აწ მიჯობს შევწყვეტ მესტვირულს,
ტვინს აღარ ვდაღავ ქალაში;
ვფიქრობ, რომ ამა ჩემს წერილს
გადაფრენენ კალათში“-ო

კალათმა იკითხოს, თორემ თავის ქალას რა უჭირს.

მევალიშვილს. თქვენი ლექსი ჯიმითელ ვაჟრებისადმი ცოტა მოიკოჭლებს. ვბეჭდავთ, მხოლოდ ერთად ერთ კუპლეტს, რომელიც საუკეთესოთ ჩაითვლება:

„უკანესკნელ ფასიანს,
დაადვეს დიდი ფასები
მოდი და აბა იყიდე,
მოდი ნუ დაიღმაჭები“.

თუ არ დასტოვებთ მგოსნობას თქვენ აგტკივდებათ ჭაჭები.

ყოფილს. ჩვენის აზრით თქვენი ლექსიკიათურის საავათმყოფოს შესახებ გადარჩაბებული უნდა იყოს:

მსახურები „რომ გასუქდენ
დაავიწყდათ თავისი ვალი,
მათ ჩაიცვეს ქურქათ ტყავი
მუშის ზურგზე გადამძვრალი“

საქმე იმაშია, რომ საქურქე ტყავიანი მუშა ჩვენ ჭიათურაში არ გვეგულება.

მკერავს. განსაკუთრებით კარგი ნაკერი თქვენი „მესტვირულის“ ბოლოა:

„ჰე“ ეშმაკო, აწ შენ იცი
ამათ მსჯავსი თუ სად ნახო
გეხვეწები, აქაც, იქაც
საუკუნოდ ამათრახო“
მაშინ ხალხი მთელის გრძნობით
შენ გადგიშლის გულის ნადებს
და ფეხ ქვეშა შენც დაგიფენს
აკაკივით ია ვარდებს
მხოლოდ მე კი ვარდის ნაცვლათ
ავამღერებ ჭამანჩასო
„ახალ კლუბში“ დაგპატიჟებ
სადაც სვამენ კაფე ჩასო.
უპატრონო ძაღლებივით
სად იურიან ყველა თავსო
(დაფიქრდები, იტყვი ჩემა,
რას მოვესწარ ამ ამბავსო!)

სცდები, მეგობარო! ზოგიერთა „მგოსნებისაგან“ ჩვენ უარესსაც მოველით!

შაგრუმულს. „ერთხელ ვიპოვნე
მინდვრათ ყვავილი,
ახლათ მოსილი
და მშვენიერი...
ხელში დავიჭერ
და გულს მივიკარ
და მითი გახვდი
მე ბედნიერი...
მაგრამ დრო დადგა
ყვავილს დაეტყო
დადრეჯილობა
რადაც ნაღველი...
ჭკნებოდა და თანაც
გაყვითლდებოდა
როგორც თაფლიდან
წმინდა სანთელი...
და ეხლა შორ ახლო
როგორც ვგებულობ
ის ვარდი უკვე
გაკურნებულა...
და მისი თრთვობა
და სიყვარული
ბევრი ალაგას
დარიგებულა“.

თქვენ სად ბრძანდებოდით, როცა არიგებდენ?



ველისციხის „მოღვაწე“

შემომივლია ქვეყანა,
ქალაქი დაბა-სოფელი:
თფილისი, თელავ-სიღნაღი,
შალაური და ხორხელი.
ბევრი მინახის მოღვაწე,
ხალხის გულ-შემატკივარი,
და არსად იმის მაგვარი,
ველისციხეში რომ არი.
იგია ჩვენი სკოლისა
უფროსი მასწავლებელი,
„თავდადებული,“ ხალხისთვის
(ჯიბის კი შემსუქებელი)
რა ეშველება ჩვენ სოფელს,
რომ არ „სწყალობდეს“ ეს პირი?
ვინ „უპატრონოს“ ჩაგრულ ხალხს?
ვინ „მოაშოროს“ მას ჭირი?!
მის საქმე „მოღვაწეობას“
ვერ ასწერს კაცის პირია!..
თუმც ცხრათვის „დაღლილ დაქანცულს“
ზაფხულში „შვება“ სჭირია,
მაგრამ ეს ხალხის „ერთგული“
არც ზაფხულობით „ისვენებს“
და მათვე „საკეთილდღეოთ“
ყოველ გვარ ხერხებს იყენებს.
კრედიტის ამხანაგობამ,
ამ ზაფხულს, თიბათვეს მგონი.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

ულველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“

ჟურნალის ფასი: 12 თვით 6 მ. | 6 თვით 3 მ. 50 კ. | 3 თვით 1 მ. 80 კ. | 1 თვით 60 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе,

Ольгинская 6,

Почтовый ящикъ № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის).

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის.

სოფლის „მოღვაწე“.

დაკარგა, ბაქოს მახლობლად,
შაბიამანით ვაგონი
საჩქაროთ ბაქოს საძებრათ
(რომ არ ენახათ ზიანი)
გაგზავნეს ჩვენი „მოღვაწე“,
ვითარცა კაცი „ჭკვიანი“
და ისიც სწრაფათ გაფრინდა,
დაჰყო იქ კარგა ხანია,
თუმც დანაკარგი ვერ ნახა
მან მოგვიტანა სხვანია:
ჩულქები, ნასკები-ტუფლები,
და სხვა რამ გასაყიდები,
რასაც ამ ჟამად ყოველგან
ფასები აძევს დიდები.
თუ-ც უშაბიამნოთ სოფელი
შეიქნა შესაბრალები,
მაგრამ ტუფლ—ნასკებისაგან
მას „ასცდა“ ჩარჩთა ბრჭყალები.
აწ ფიქრი არ აქვს ჩვენ სოფელს
ამგვარ „უჩიტლის“ ყოლაში.
რაც კი ძვირია ბაზარზე,
„იაფათ“ ჰპოვებს სკოლაში.

მეხი.

რედაქტორ-გამომც. **თ. ბოლქვაძე.** ნებადართულია ს.ამხ.ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., 1.